მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №311

2022 წლის 29 სექტემბერი

ქ. მცხეთა

**მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ**

---

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,ე.დ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 41-ე მუხლის, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული ,,სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი''-ს მე-10 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №169 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (№34-3422256174, 13.09.2022 წ) საფუძველზე,

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავდარაანთკარში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.04.41.175; ს/კ 72.04.18.491) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია თანდართული პროექტის (დანართის) შესაბამისად.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ქ.მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ელოშვილი